ურთიერთშეთანხმების აქტი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღი" (შემდგომში "შემსყიდველი") მისი დირექტორის ამირან ხვადაგიანის სახით და მეორეს მხრივ შპს "ხომლი ენ" (შემდგომში "მიმწოდებელი") მისი დირექტორის ელგუჯა თავბერიძის სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

იმის გამო, რომ ჩვენს შორის ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის" ფერადი ბუკლეტების ბეჭდვის (ტირაჟი 500 ც.) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მიმდინარე წლის 16 თებერვალს გაფორმებული N13 ხელშეკრულების შესაბამისად "მიმწოდებლის" მიერ ატვირთულ ზედნადებში მითითებული ერთეულის ფასი მოცემულია მეათასედის სიზუსტით (3.148ლ/ცალი). ხაზინის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ვერ ხდება ხელშეკრულების ღირებულების (1574 ლ.) გადახდა.
აქედან გამომდინარე საჭიროა მოხდეს ბუკლეტის ბეჭდვის ერთეულის ფასის ცვლილება მეასედის სიზუსტით - 3.15ლ/ც. შესაბამისად ხელშეკრულების საერთო ფასი იქნება 1575 ლ.
აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს არსებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

მხარეთა ხელმოწერები

"შემსყიდველი" "მიმწოდებელი"

ა. ხვადაგიანი ე. თავბერიძე

ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის' დირექტორი შპს "ხომლი ენ" ის დირექტორი

27/02/2015 27.02.2015 წელი